სახელმწიფო შესყიდვების გეგმა, გამარტივებული შესყიდვა, გამონაკლისი გამარტივებული შესყიდვები, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, შესყიდვების ხელოვნური დაყოფა და მონეტარული ზღვრის დარღვევა

სახელმწიფო შესყიდვების გეგმა

შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს ახორციელებს მხოლოდ **წინასწარ დამტკიცებული** და ამ წესის მიხედვით **რეგისტრირებული** გეგმის შესაბამისად

რომელი შესყიდვებია გამონაკლისი?

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი შემსყიდველი ორგანიზაციების; საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და საქართველოს მთავრობის კანცელარიის **თავდაცვასთან, უშიშროებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან** დაკავშირებული შესყიდვები.

როდის რეგისტრიდება გეგმაში გამონაკლისი შესყიდვები?

შესყიდვებთან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში ნებისმიერი პარამეტრის **ცვლილებას ამტკიცებს** შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებამდე და არეგისტრირებს ePLAN-ში, **დამტკიცებიდან 30 დღის ვადაში**.

სახელმწიფო შესყიდვების გეგმა

სახელმწიფო შესყიდვების გეგმის წარმოდგენა ხდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიანი ელექტრონული სისტემის **ePLAN მოდულში**

ერთიანი ელექტრონული სისტემის ePLAN მოდული

- ✓ გეგმის დამტკიცების წესს და ფორმას განსაზღვრავს **შემსყიდველი ორგანიზაცია**;

- ✓ გეგმის რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს ePLAN-ში, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული **უფლებამოსილი პირის მიერ**

ერთიანი ელექტრონული სისტემის ePLAN მოდული

გეგმის ნებისმიერი **პარამეტრის ცვლილება** ხორციელდება ePLAN- ში, ამ წესით დადგენილი მოთხოვნების მიხედვით

სახელმწიფო შესყიდვების გეგმა

- **ითვლება წარმოდგენილად** მას მერე, რაც განხორციელდება მისი **რეგისტრაცია** ePLAN მოდულში;

- თუ ePLAN მოდულში გეგმა წარმოდგენილია **პროექტის სახით**, მაშინ ის **არ ითვლება წარმოდგენილად** და შესაბამისად მისი მონიტორინგი არ ხორციელდება.

სახელმწიფო შესყიდვების გეგმის წარმოდგენის ვადები

მომდევნო წლის გეგმას შემსყიდველი ორგანიზაცია არეგისტრირებს არა უგვიანეს **მიმდინარე წლის 20 ნოემბრისა**.

რის შემდეგაც შემსყიდველ ორგანიზაციას **შეუძლია დაიწყოს** მომდევნო წლისათვის/წლებისათვის აუცილებელი სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება.

სახელმწიფო შესყიდვების გეგმის წარმოდგენის ვადები

ბიუჯეტის შესახებ შესაბამისი **ნორმატიული აქტის ამოქმედებამდე**

↓

გეგმა უნდა შეესაბამებოდეს გეგმის რეგისტრაციის მომენტისათვის შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოში **წარდგენილ ბიუჯეტის პროექტს**

სახელმწიფო შესყიდვების გეგმის წარმოდგენის ვადები

ბიუჯეტის შესახებ შესაბამისი **ნორმატიული აქტის ამოქმედების შემდეგ**

საჭიროების შემთხვევაში სააგენტოსთვის წარდგენილ გეგმაში ცვლილება უნდა განხორციელდეს აქტის ამოქმედებიდან **10 კალენდარული დღის ვადაში**

სახელმწიფო შესყიდვების გეგმის წარმოდგენის ვადები

თუ შემსყიდველი ორგანიზაცია **იქმნება** (ფუძნდება) ან იღებს **დამატებითი დაფინანსების წყაროს**

↓

გეგმა რეგისტრირდება ePLAN-ში შექმნიდან (დაფუძნებიდან) ან დამატებითი დაფინანსების მიღების თვის **მომდევნო თვის არა უგვიანეს 20 რიცხვისა**

როგორ ხდება სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შედგენა?

- ✓ სახელმწიფო შესყიდვების გეგმის **პროექტის შემუშავება**;
- ✓ სახელმწიფო შესყიდვების **გეგმის შედგენა**.

რა უნდა გავითვალისწინოთ სახელმწიფო შესყიდვების გეგმის პროექტის შემუშავების დროს?

- ✓ შესყიდვის განხორციელების **აუცილებლობა**;
- ✓ შესყიდვის ობიექტთა **ერთგვაროვნება**;
- ✓ მსგავსი შესყიდვის განხორციელების **გამოცდილება**;

რა უნდა გავითვალისწინოთ სახელმწიფო შესყიდვების გეგმის პროექტის შემუშავების დროს?

- ✓ შესყიდვის ობიექტის განსაზღვრა, ასევე **მიწოდების ვადები და ადგილი**;
- ✓ პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით **ბაზრის გამოკვლევის შედეგები**;

რა უნდა გავითვალისწინოთ სახელმწიფო შესყიდვების გეგმის პროექტის შემუშავების დროს?

- ✓ შესყიდვის ობიექტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომლის შესყიდვა გათვალისწინებულია **კონსოლიდირებული ტენდერის** საშუალებით;

- ✓ შესყიდვის საშუალების შერჩევის **საფუძველი**, შესყიდვის **პროცედურების სავარაუდო ვადები**;

რა უნდა გავითვალისწინოთ სახელმწიფო შესყიდვების გეგმის პროექტის შემუშავების დროს?

- ✓ მისაწოდებელი საქონლის **რაოდენობა/მოცულობა**;
- ✓ შესყიდვის ობიექტების **სავარაუდო ღირებულება**;
- ✓ შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებული **ხარჯები**;

რა უნდა გავითვალისწინოთ სახელმწიფო შესყიდვების გეგმის პროექტის შემუშავების დროს?

- ✓ გრძელვადიანი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფინანსური **ვალდებულებები** მიმდინარე წლისათვის;
- ✓ დასადები ხელშეკრულების **შესრულების სავარაუდო ვადები**;
- ✓ შესყიდვასთან დაკავშირებული **სხვა გარემოებები**.

სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შედგენა

- ✓ საფინანსო წელი;
- ✓ ერთწლიანი/მრავალწლიანი;
- ✓ ანგარიშწორების საწყისი წელი;
- ✓ შესყიდვის ვადები;
- ✓ კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი;
- ✓ სავარაუდო ღირებულება;
- ✓ დაფინანსების წყარო;
- ✓ შესყიდვის საშუალება;
- ✓ პრეისკურანტით - „კი“/„არა“;
- ✓ ორეტაპიანი ტენდერი - „კი“/„არა“;
- ✓ შესყიდვის საფუძველი;
- ✓ ალტერნატიული შესყიდვა - „კი“/„არა“;
- ✓ ერთობლივი შესყიდვა - „კი“/„არა“;
- ✓ შენიშვნა.
- ✓ ჩაწერა - გაუქმება.

შესყიდვის ობიექტების იდენტიფიკაცია, კლასიფიკაცია და შესყიდვის ობიექტების ერთგვაროვნების დადგენა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული კლასიფიკატორის გამოყენებით

CPV კლასიფიკატორი

- ✓XXX00000 – **დანაყოფის** განმსაზღვრელი ციფრები;
- ✓XXXX0000 – **ჯგუფის** განმსაზღვრელი ციფრები;
- ✓XXXXX000 – **კლასის** განმსაზღვრელი ციფრები;
- ✓XXXXXX00 – **კატეგორიის** განმსაზღვრელი ციფრები;
- ✓**უკანასკნელი ორი ციფრი** გამოიყენება შესყიდვის **ობიექტის** იდენტიფიკაციის მიზნით.

სავარაუდო ღირებულება



სავარაუდო ღირებულება



სავარაუდო ღირებულება

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრისას ფასების არსებული დონის (შიდა ან/და საერთაშორისო ბაზარზე) **არ გათვალისწინების შედეგი** არის თანხების **არა რაციონალური ხარჯვა**:

- ✓ **გამარტივებული** შესყიდვის შემთხვევაში;
- ✓ **ერთპრეტენდენტიანი** ტენდერის შემთხვევაში;

როდის უნდა ჩატარდეს ბაზრის მოკვლევა?

- ✓შესყიდვის ობიექტის **მიწოდების უზრუნველყოფა** შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ **მიიჩნევა რთულ ამოცანად**;
- ✓დაგეგმილი შესყიდვის **მოცულობა** და სავარაუდო **ღირებულება მაღალია**;
- ✓შესყიდვის ობიექტს ენიჭება **გადამწყვეტი მნიშვნელობა** ორგანიზაციის გამართულად ფუნქციონირებისათვის.

ნაკლებად ინტენსიური მოკვლევის საჭიროება დგება:

- ✓ როდესაც ხორციელდება **ფართოდ გავრცელებული და მარტივად შესაძენი** საქონლის/ მომსახურების დიდი მოცულობით შესყიდვა;

- ✓ როდესაც **მიწოდების უზრუნველყოფა მარტივია** და ამავდროულად დაგეგმილი შესყიდვის ობიექტის **მოცულობა შედარებით მცირეა** (ან შესყიდვა ხორციელდება კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად გაფორმებული ჩარჩო ხელშეკრულების საშუალებით).

შესყიდვის საშუალება

- ✓ გამარტივებული შესყიდვა;
- ✓ ელექტრონული ტენდერი;
- ✓ კონსოლიდირებული ტენდერი;
- ✓ კონკურსი.

გამარტივებული შესყიდვა

50’000 ლარი

საზღვარგარეთ საქართველოს **დიპლომატიური** წარმომადგენლობები, საზღვარგარეთ საქართველოს **საკონსულო** დაწესებულებები

20’000 ლარი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი შემსყიდველი ორგანიზაციები, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი შემსყიდველი ორგანიზაციები, სახელმწიფო დაცვის სამსახურის **თავდაცვასთან, უშიშროებასთან, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან** დაკავშირებული შესყიდვები

5’000 ლარი

დანარჩენი შემსყიდველი ორგანიზაციები

სავარაუდო ღირებულება



განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობი ვადები

- 150 000 ლარამდე - საქონლი და მომსახურება – არანაკლებ 7 დღე, რომელთაგან სულ მცირე პირველი 5 დღე განკუთვნილია სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად, ხოლო მომდევნო 2 დღე – სატენდერო წინადადების წარსადგენად;
- 150 000 ლარის და მეტი - საქონლი და მომსახურება – არანაკლებ 10 დღე, რომელთაგან სულ მცირე პირველი 7 დღე განკუთვნილია სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად, ხოლო მომდევნო 3 დღე – სატენდერო წინადადების წარსადგენად.

განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობი ვადები

- 300 000 ლარამდე სამუშაო – არანაკლებ 10 დღე, რომელთაგან სულ მცირე პირველი 7 დღე განკუთვნილია სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად, ხოლო მომდევნო 3 დღე – სატენდერო წინადადების წარსადგენად;
- 300 000 ლარის და მეტი სამუშაო – არანაკლებ 20 დღე, რომელთაგან სულ მცირე პირველი 15 დღე განკუთვნილია სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად, ხოლო მომდევნო 5 დღე – სატენდერო წინადადების წარსადგენად.

2019 წლის 1 სექტემბრიდან.

- თუ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს ან აღემატება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილ მონეტარულ ზღვრებს (ერთგვაროვანი საქონლისა და მომსახურების შემთხვევაში – 144 000 ევროს ეკვივალენტი ლარში, ხოლო ერთგვაროვანი სამუშაოს შემთხვევაში – 5 548 000 ევროს ეკვივალენტი ლარში), შემსყიდველმა ორგანიზაციებმა სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად, აგრეთვე სატენდერო წინადადების წარსადგენად უნდა განსაზღვრონ არანაკლებ 30 დღე.

კონსოლიდირებული ტენდერი

საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ შემთხვევაში შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვის მიზნით **სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ განხორციელებული პროცედურა**, რომლის დროსაც ვლინდება საუკეთესო სატენდერო წინადადება

კონკურსი

სახელმწიფო შესყიდვის **ალტერნატიული საშუალება**, რომლითაც შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, შეისყიდოს **საპროექტო მომსახურება**, მათ შორის, დიზაინერული, დაგეგმარების, ხარჯთაღრიცხვის, არქიტექტურული, საინჟინრო გეგმები ან პროექტები.

დაფინანსების წყარო

- ✓სახელმწიფო ბიუჯეტი;
- ✓ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტი;
- ✓ადგილობრივი ბიუჯეტი;
- ✓საკუთარი სახსრები;
- ✓გრანტი/კრედიტი.

შესყიდვის საფუძვლები (გამონაკლისი შესყიდვები)

გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში:

- ✓ ზღვრების შესაბამისად;
- ✓ ექსკლუზივი;
- ✓ გადაუდებელი აუცილებლობა;
- ✓ ხარისხის გაუარესება;
- ✓ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიება;
- ✓ წარმომადგენლობითი ხარჯები;
- ✓ ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელები;
- ✓ განსაზღვრული წლოვანების ავტოსატრანსპორტო საშუალებები;

შესყიდვის საფუძვლები (გამონაკლისი შესყიდვები)

გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში:

- ✓ სსიპ უმაღ/საგანმანათლებლო დაწესებულებების გამონაკლისი გამარტივებული შესყიდვები;
- ✓ რეგენტთა საბჭოს თანხმობით;
- ✓ დაყოფა გეოგრაფიული დაშორების პრინციპით;
- ✓ დაყოფა რაციონალურობის პრინციპით;
- ✓ დაყოფა ობიექტური პირობებით;
- ✓ კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა (გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა).

შესყიდვის საფუძვლები (გამონაკლისი შესყიდვები)

ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში:

- ✓ ზღვრების შესაბამისად;
- ✓ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიება.

კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა (გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა)

საქართველოს **საარჩევნო კოდექსის** 52-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად გათვალისწინებული განხორციელებული შესყიდვები:

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია უფლებამოსილია **საარჩევნო/სარეფერენდუმო პერიოდში** არჩევნების შეუფერხებლად ჩატარების მიზნით სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული **გამარტივებული შესყიდვის** საშუალებით.

ექსკლუზივი
(გამონაკლისი შესყიდვა)

საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა **მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა** და არ არსებობს **მიზანშეწონილი ალტერნატივა** შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად.

ექსკლუზივი
(გამონაკლისი შესყიდვა)

ექსკლუზიურ უფლებად **არ განიხილება** შემთხვევა, როდესაც შესასყიდი საქონლის ან მომსახურების **სავარაუდო ღირებულება აღემატება** 2’000’000 ლარს, ხოლო სამუშაოსი – 4’000’000 ლარს და **ქვეყნის გარეთ**, გონივრულ ტერიტორიულ ფარგლებში, **არსებობს სხვა პირი**, რომელსაც შეუძლია განახორციელოს იმავე საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა.

ექსკლუზივი
(გამონაკლისი შესყიდვა)

ექსკლუზიურ უფლებად **არ განიხილება** შემთხვევა, როდესაც შესასყიდი საქონლის ან მომსახურების **სავარაუდო ღირებულება არ აღემატება** 2’000’000 ლარს, ხოლო სამუშაოსი – 4’000’000 ლარს და **ქვეყნის შიგნით არსებობს სხვა პირი**, რომელსაც შეუძლია განახორციელოს იმავე საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა.

გადაუდებელი აუცილებლობა (გამონაკლისი შესყიდვა)

ვითარება, რომელიც რეალურ **საფრთხეს უქმნის** შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას და რომელიც არ შეიძლებოდა ყოფილიყო **წინასწარ განსაზღვრული**, ან/და რომლის დადგომა **არ არის გამოწვეული** შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედებით, ან რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი **ზიანი მიაყენოს** საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებას.

გადაუდებელი აუცილებლობა (გამონაკლისი შესყიდვა)

არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა?

- ✓ ასეთ შემთხვევაში შესასყიდი საქონლის რაოდენობა, სამუშაოს ან მომსახურების მოცულობა **არ უნდა აღემატებოდეს** გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული **პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო** შესაბამის ვადებს.

გადაუდებელი აუცილებლობა (გამონაკლისი შესყიდვა)

არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა?

- ✓ გადაწყვეტილებას იღებს შემსყიდველი ორგანიზაციის **ხელმძღვანელი**;
- ✓ გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით **შესყიდვის განხორციელებამდე** შემსყიდველმა ორგანიზაციამ ხელშეკრულების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადების შესახებ მიღებული **გადაწყვეტილება უნდა შეათანხმოს სააგენტოსთან**.

გადაუდებელი აუცილებლობა (გამონაკლისი შესყიდვა)

არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა?

- ✓ გამარტივებული შესყიდვის შესახებ **გადაწყვეტილება სააგენტოსთან თანხმდება** სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (შემდგომში – სისტემა) მეშვეობით, მომართვის სისტემის **SMP მოდულში** წარდგენის გზით, რის შედეგადაც მომართვას ავტომატურად ენიჭება სტატუსი „განიხილება“.

გადაუდებელი აუცილებლობა (გამონაკლისი შესყიდვა)

არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა?

- ✓ იმ შემთხვევაში, თუ გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შესყიდვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების **სააგენტოსთან შეთანხმება შეუძლებელია**, რადგან შესყიდვის დაყოვნება, ალბათობის მაღალი ხარისხით, გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს შემსყიდველ ორგანიზაციას, შემსყიდველი ორგანიზაცია **უფლებამოსილია, დაიწყოს შესყიდვის პროცედურები**, რაზეც იგი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას და აღნიშნულის შესახებ **დაუყოვნებლივ მიმართავს სააგენტოს**.

ხარისხის გაუარესება (გამონაკლისი შესყიდვა)

შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, მიმწოდებლისაგან შესყიდული ობიექტის **ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების** ან/და მისი **შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის** მიზნით აუცილებელია შესყიდვა განხორციელდეს **იმავე მიმწოდებლისაგან** ან იმავე მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული **ქვეკონტრაქტორისაგან**, **გარდა იმ შემთხვევისა**, როდესაც განსახორციელებელი **შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება თავდაპირველად შესყიდული ობიექტის ღირებულებას.**

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიება (გამონაკლისი შესყიდვა)

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით **შესყიდვების განხორციელება დადგინდა**:

- ✓ **საქართველოს მთავრობის** სამართლებრივი აქტით;
- ✓ **ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების** სამართლებრივი აქტებით;
- ✓ **საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს** სამართლებრივი აქტით.

გამარტივებული შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილება (გამონაკლისი შესყიდვა)

გამარტივებული შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილება **სააგენტოსთან თანხმდება** სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (შემდგომში – სისტემა) მეშვეობით, მომართვის სისტემის **SMP მოდულში** წარდგენის გზით როცა გამარტივებული **შესყიდვის საფუძველია**:

- ✓ ექსკლუზივი;
- ✓ გადაუდებელი აუცილებლობა;
- ✓ ხარისხის გაუარესება;
- ✓ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიება.

წარმომადგენლობითი ხარჯი (გამონაკლისი შესყიდვა)

- ✓ პირის სახელით **გამართული ღონისძიებებისათვის** (პრეზენტაციები, მიღებები) გათვალისწინებული (წვენები, მინერალური წყლები, გამაგრილებელი სასმელები, ჩაი, ყავა, საუზმე, სადილი, ვახშამი, ბანკეტი) ხარჯები;

- ✓ **საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი** ღონისძიებების ხარჯები;

- ✓ **სუვენირების** შეძენის ხარჯები;

წარმომადგენლობითი ხარჯი (გამონაკლისი შესყიდვა)

- ✓ სტუმრების მომსახურების უზრუნველყოფად **საკონსულო მომსახურების** (ვიზების გაფორმება, ვადის გაგრძელება) ხარჯები;

- ✓ **აეროპორტში დახვედრისა და გაცილების** (VIP-დარბაზის მომსახურება) ხარჯები;

- ✓ **სატრანსპორტო მომსახურების** ხარჯები;

წარმომადგენლობითი ხარჯი (გამონაკლისი შესყიდვა)

- ✓**სასტუმრო მომსახურების** (ადგილების დაჯავშნა, ცხოვრების ღირებულება) ხარჯები;

- ✓**მიღებებისა და წვეულებებისათვის** გათვალისწინებული (წვენები, მინერალური წყლები, გამაგრილებელი სასმელები, ჩაი, ყავა, საუზმე, სადილი, ვახშამი, ბანკეტი) ხარჯები.

საქართველოს ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელების გადახდის გზით (გამონაკლისი შესყიდვა)

- ✓სსიპ **„საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“** ვებგვერდით მომსახურება;
- ✓შპს **„სითი პარკის“** მომსახურება.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წლოვანების ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურება (გამონაკლისი შესყიდვა)

- ✓საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის N26 დადგენილება.

- ✓**არა უმეტეს 5 წლის** წლოვანების ავტოსატრანსპორტო საშუალების
- ✓**ტექნიკური** მომსახურება;
- ✓**სათადარიგო** ნაწილები;
- ✓**საცხებ-საპოხი** მასალები.

სსიპ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გამონაკლისი გამარტივებული შესყიდვები (გამონაკლისი შესყიდვა)

- ✓ **ლიტერატურა** (ბეჭდური, ელექტრონული ან აუდიოვიზუალურ მატარებელზე განთავსებული);
- ✓ **რეაქტივი**;
- ✓ **კომპიუტერული პროგრამა**;
- ✓ **ფარმაცევტული** პროდუქტი (სამკურნალო საშუალება);
- ✓ **ლაბორატორიული** აღჭურვილობა და **მონაცემთა** ბაზა.

სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდი (გამონაკლისი შესყიდვა)

- ✓ **რეგენტთა საბჭოს** თანხმობით;

- ✓ რეგენტთა საბჭოს თანხმობა გაიცემა შემსყიდველი ორგანიზაციის მოტივირებული **მიმართვის საფუძველზე**.

შესყიდვის საფუძვლები CMR გვერდზე და სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში

- ✓ ზღვრების შესაბამისად;
- ✓ ექსკლუზივი;
- ✓ გადაუდებელი აუცილებლობა;
- ✓ ხარისხის გაუარესება;
- ✓ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიება;
- ✓ წარმომადგენლობით ხარჯები;
- ✓ ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელები;
- ✓ განსაზღვრული წლოვანების ავტოსატრანსპორტო საშუალებები;
- ✓ სსიპ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გამონაკლისი გამარტივებული შესყიდვები;
- ✓ რეგენტთა საბჭოს თანხმობით;
- ✓ დაყოფა გეოგრაფიული დაშორების პრინციპით;
- ✓ დაყოფა რაციონალურობის პრინციპით;
- ✓ დაყოფა ობიექტური პირობებით;
- ✓ კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა (გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა).

შესყიდვის საფუძვლები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაში

- ✓ „№13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის „ა-გ“ქვეპუნქტის საფუძველზე;

- ✓ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა-კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე;

- ✓ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 3^1 პუნქტის ,,ა-ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე;

- ✓ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 52-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება

ხელშეკრულების დადება არ არის სავალდებულო

საზღვარგარეთ საქართველოს

- ✓ **დიპლომატიური** წარმომადგენლობის;
- ✓ **საკონსულო** დაწესებულების;
- ✓ **თავდაცვის** ატაშეს;
- ✓ **თავდაცვის სამინისტროს** წარმომადგენლების;
- ✓ **შინაგან საქმეთა სამინისტროს** წარმომადგენლების გამარტივებული შესყიდვების დროს.

ხელშეკრულების დადება არ არის სავალდებულო

- ✓ ინტერნეტით **გამოწერა**;
- ✓ **წარმომადგენლობითი** ხარჯები;
- ✓ ნორმატიული აქტით დადგენილი **გადასახდელები**.

ხელშეკრულების ჩამანაცვლებელი დოკუმენტი

უნდა შეიცავდეს:

- ✓ შესყიდვის ობიექტის **დასახელებას**;
- ✓ შესყიდვის ობიექტის **ღირებულებას**;
- ✓ შესყიდვის ობიექტის ღირებულების **გადახდის დადასტურებას**;
- ✓ მიმწოდებლის **დასახელებასა და საიდენტიფიკაციო** ნომერს;

- ✓ ინტერნეტით გამოწერის გზით - ინტერნეტის საშუალებით **გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი**.

ინფორმაცია, რომელსაც ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს

- ✓ მხარეთა **ზუსტ დასახელებას და რეკვიზიტებს**;
- ✓ შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვის სისტემის **SMP მოდულში რეგისტრაციის ნომერს**, თუ გამარტივებული შესყიდვა თანხმდება სააგენტოსთან;
- ✓ გამარტივებული შესყიდვის სამართლებრივ **საფუძველს** – კანონის შესაბამის ნორმას;
- ✓ ხელშეკრულების ობიექტის **დასახელებას**, კლასიფიკატორის კატეგორიის ან ქვეკატეგორიის **კოდს**;
- ✓ ხელშეკრულების **ღირებულებას**;

ინფორმაცია, რომელსაც ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს

- ✓საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების **ვადას**;
- ✓**ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის** პირობებს (გამოყენების შემთხვევაში);
- ✓**ანგარიშსწორების წესს**, აგრეთვე **წინასწარი ანგარიშსწორების** პირობებს (გამოყენების შემთხვევაში);
- ✓სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში – შესასრულებელი სამუშაოს გონივრულ **საგარანტიო ვადას**;
- ✓ხელშეკრულების **მოქმედების კონკრეტულ ვადას**.

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

- ✓ თუ ხელშეკრულების საერთო **ღირებულება** შეადგენს ან აღემატება **200’000 ლარს**, შემსყიდველი ორგანიზაცია **ვალდებულია**, მოითხოვოს **ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია**.

- ✓ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, შესყიდვის ობიექტის თავისებურებიდან გამომდინარე, **შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს** ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მოთხოვნა, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების საერთო ღირებულება **ნაკლებია 200’000 ლარზე**.

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

- ✓ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ოდენობა განისაზღვრება **ხელშეკრულების ღირებულების 2%-დან 5%-ის ჩათვლით.**

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენისგან **შესაძლებელია განთავისუფლდეს** პრეტენდენტი ან პოტენციური მიმწოდებელი მისი **საქმიანი რეპუტაციისა** და მის მიერ წარმოებული საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს ხარისხისა და **ცნობადობის** გათვალისწინებით, აგრეთვე, **თეთრ სიაში** რეგისტრირებული მიმწოდებელი.

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

თუ შემსყიდველი ორგანიზაცია, **თეთრ სიაში რეგისტრირებულ მიმწოდებელს არ ათავისუფლებს** ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენისგან, თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს მოთხოვნილი ოდენობის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის **გარანტიის ნახევარს**.

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

- **გამარტივებული შესყიდვის** შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია შემსყიდველ ორგანიზაციას შესაძლებელია წარედგინოს **ხელშეკრულების დადების შემდეგ**.

- შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს, დასაბუთებული გადაწყვეტილებით **არ მიიღოს** ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის **ისეთი გარანტია, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.**

- ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის **გარანტიის მოქმედების ვადა**, გარანტიიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების ან ამ ვალდებულებების გაუქმების პირობები **განისაზღვრება ხელშეკრულებით**.

ანგარიშსწორების პირობები

- ✓ ანგარიშსწორების **პირობები განისაზღვრება** შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული **ხელშეკრულებით**;

- ✓ **წინასწარი ანგარიშსწორების** შემთხვევაში, **მიმწოდებელი ვალდებულია**, შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინოს წინასწარ გადასახდელი თანხის **იდენტური ოდენობის გარანტია**;

- ✓ მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარი ანგარიშსწორების შედეგად მიღებული თანხები **გამოიყენოს მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად.**

ანგარიშსწორების პირობები

შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინასწარი ანგარიშწორებისას გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის **გარანტიის წარდგენისაგან მიმწოდებლის გათავისუფლება** შესაძლებელია ერთ-ერთი შემდეგი **საფუძვლის** არსებობისას:

- ✓ მიმწოდებლისათვის **წინასწარ გადასახდელი თანხა ჩაირიცხება საამისოდ განკუთვნილ ცალკე საბანკო ანგარიშზე** და ამ თანხის გამოყენება მოხდება შემსყიდველი ორგანიზაციის კონტროლით ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში. საამისოდ ცალკე საბანკო ანგარიშზე ჩარიცხული წინასწარ გადასახდელი თანხის კონტროლი შესაძლებელია მოიცავდეს **თანხის განკარგვის წინასწარ კონტროლს, დადგენილი ზღვრული ოდენობის თანხის განკარგვის წინასწარ კონტროლს და გახარჯული თანხის შემდგომ კონტროლს,** თუ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ანგარიშსწორების პირობები

- ✓ კონკრეტული ხელშეკრულების ჯამური **ღირებულება აღემატება 30’000’000 ლარს.** ასეთ შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინასწარ გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტიის წარდგენისაგან მიმწოდებლის **გათავისუფლება შესაძლებელია მისი საქმიანი რეპუტაციისა** და მის მიერ წარმოებული საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს ხარისხისა და **ცნობადობის** გათვალისწინებით.

ანგარიშსწორების პირობები

შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ, წინასწარი ანგარიშსწორებისას გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის **გარანტიის წარდგენისაგან** მიმწოდებელი აგრეთვე **თავისუფლდება შემდეგი სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას:**

- ✓ **ინტერნეტით გამოწერის** გზით გამარტივებული შესყიდვისას;
- ✓ **წარმომადგენლობით** ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვისას;
- ✓ საქართველოს ნორმატიული აქტით დადგენილი **გადასახდელების** გადახდის გზით სახელმწიფო შესყიდვისას.
- ✓ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ **სხვა შემთხვევებში**.

ანგარიშსწორების პირობები

- **თეთრ სიაში რეგისტრირებული** მიმწოდებელი შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს **წინასწარ გადასახდელი თანხის ნახევარი ოდენობის გარანტიას**, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

- შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინასწარ გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტიის წარდგენისაგან **გათავისუფლების შესახებ მიმწოდებელს უნდა ეცნობოს** ხელშეკრულების დადებამდე **გონივრული ვადით ადრე**.

ხელშეკრულების დამატებითი პირობები

საქართველოს მთავრობის/საქართველოს თავდაცვის მინისტრის

გადაწყვეტილებით

- ✓ დადგენილი მოთხოვნების **გავრცელების საკითხი** ან/და მათგან **განსხვავებული პირობები.**

პირგასამტეხლო (რეკომენდაცია)

- ✓ შემსყიდველმა ორგანიზაციებმა ხელშეკრულების **პირობების შეუსრულებლობისათვის** შესაძლებელია განსაზღვრონ პირგასამტეხლო ხელშეკრულების **საერთო ღირებულების არაუმეტეს 20%-ის ოდენობით.**

- ✓ ხელშეკრულების პირობების **არაჯეროვანი შესრულებისათვის** (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) შემსყიდველმა ორგანიზაციებმა შესაძლებელია განსაზღვრონ პირგასამტეხლო **ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე** შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების **არაუმეტეს 0,02%-ის ოდენობით**.

- ✓ ხელშეკრულების **ნაწილობრივ შესრულების** შემთხვევაში, შემსყიდველმა ორგანიზაციებმა შესაძლებელია განსაზღვრონ პირგასამტეხლო **შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების** შესაბამისი ღირებულების **არაუმეტეს 10%-ის ოდენობით**.

ანგარიშსწორების ვადები (რეკომენდაცია)

შემსყიდველმა ორგანიზაციებმა მიმწოდებლებთან ანგარიშსწორება განახორციელონ ხელშეკრულების შესრულების **დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.**

ხელშეკრულება დადებულია უცხოურ ენაზე

- ✓შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, ხელშეკრულების დადება **შესაძლებელია როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე.**

- ✓ხელშეკრულების უცხოურ ენაზე დადების შემთხვევაში იგი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა **ითარგმნოს ქართულ ენაზე.**

მიმწოდებლის შავ სიასთან კავშირი

შავი სია წარმოადგენს სააგენტოს მიერ ელექტრონულად წარმოებულ **ოფიციალურ რეესტრს**, რომელშიც რეგისტრირებულ პრეტენდენტს/მიმწოდებელს შავ სიაში დარეგისტრირებიდან **ერთი წლის განმავლობაში** არ აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო შესყიდვაში და **დადოს ხელშეკრულება**.

სააგენტო შავ სიას აწარმოებს ელექტრონულად, საკუთარ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) და **იგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.**

ინტერესთა კონფლიქტი

- ✓ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში ეხება **მიმწოდებლის შერჩევას**.

- ✓ მას შემდეგ, რაც გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში **მიმწოდებლის შემრჩევი პირისთვის ცნობილი გახდება მიმწოდებლის ვინაობა**, იგი **ვალდებულია** წერილობით დაადასტუროს, რომ ამ შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

- ✓ **თუ** გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში მიმწოდებლის შემრჩევ პირს **წარმოეშობა ინტერესთა კონფლიქტი**, მან დაუყოვნებლივ უნდა განაცხადოს აღნიშნულის თაობაზე და უნდა **შეწყვიტოს მონაწილეობა ამ შესყიდვის განხორციელებაში.**

ხელშეკრულებით განხორციელებულია არაერთგვაროვანი შესყიდვის ობიექტების შესყიდვა

- ✓ ხელშეკრულების **ღირებულება ჯამურად**;
- ✓ ხელშეკრულების **დანართი.**

ხელშეკრულებაში შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედება, სულ მცირე, **30 დღით** უნდა აღემატებოდეს საქონლის მიწოდებისთვის, მომსახურების გაწევისთვის ან სამშენებლო სამუშაოს შესრულებისთვის **ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადას.**

ხელშეკრულება და შეცვლილი გარემოებები

მხარეები ჯერ უნდა შეეცადონ, რომ ხელშეკრულება **მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს.** თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, **რომლის ინტერესებიც დაირღვა,** შეუძლია **უარი თქვას ხელშეკრულებაზე.**

სახელმწიფო შესყიდვის ერთობლივად განხორციელება

- ✓ შემსყიდველ ორგანიზაციათა შეთანხმებით, გამარტივებული შესყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს **ერთობლივად**.

- ✓ შემსყიდველ ორგანიზაციათა **შეთანხმება** სახელმწიფო შესყიდვის ერთობლივად განხორციელების თაობაზე იდება **წერილობით ფორმით**, რომელსაც ხელს აწერენ შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციების ხელმძღვანელები ან მათ მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირები.

- ✓ იმ შემთხვევაში, თუ ერთობლივი შესყიდვა ხორციელდება **ერთ სისტემაში შემავალი შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ,** ერთობლივი შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ზემდგომი თანამდებობის პირის ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირის **ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.**

სახელმწიფო შესყიდვის ერთობლივად განხორციელება

- ✓ თუ გამარტივებული შესყიდვა ხორციელდება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“–„დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **შეთანხმება ან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი** შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვასთან ერთად იტვირთება სისტემის **SMP** მოდულში.

- ✓ გამარტივებული შესყიდვის სხვა საფუძვლით განხორციელების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია **შეთანხმებას ან ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს** ტვირთავს ხელშეკრულების სისტემის **CMR** მოდულში რეგისტრაციასთან ერთად.

სახელმწიფო შესყიდვის ერთობლივად განხორციელება

შეთანხმება ან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს შემდეგ პირობებს:

- ✓ გამარტივებული შესყიდვის განხორციელების **საფუძველსა და პირობებს**;
- ✓ მიმწოდებელთან **ანგარიშსწორების** პირობებს;
- ✓ შესყიდვის ობიექტის **მიწოდების** წესს;
- ✓ მითითებას იმ შემსყიდველი ორგანიზაციის შესახებ, რომელიც **უფლებამოსილია წარადგინოს მიმართვა სისტემის SMP** მოდულში – თუ გამარტივებული შესყიდვა თანხმდება სააგენტოსთან.

სახელმწიფო შესყიდვის ერთობლივად განხორციელება

- ✓ ხელშეკრულებიდან **მკაფიოდ უნდა იკვეთებოდეს**, თუ რომელ შემსყიდველ ორგანიზაციას განეკუთვნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული **კონკრეტული უფლება-მოვალეობა**, აგრეთვე რომელი შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართ აქვს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული კონკრეტული უფლება-მოვალეობა.

- ✓ შეთანხმება ან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტი **შესაძლებელია შეიცავდეს დამატებით პირობებს**, რომლებიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მოქმედ კანონმდებლობას.

სახელმწიფო შესყიდვის ერთობლივად განხორციელება

- ✓ გამარტივებული შესყიდვის ერთობლივად განხორციელების შემთხვევაში, **თითოეული შემსყიდველი ორგანიზაცია დამოუკიდებლად ტვირთავს დადებულ ხელშეკრულებას სისტემის CMR მოდულში.**

- ✓ ამასთან, შემსყიდველი ორგანიზაცია სისტემის CMR მოდულში ხელშეკრულების ღირებულებად უთითებს ამ ხელშეკრულების ფარგლებში **მის მიერ გადასახდელი თანხის ოდენობას.**

ხელშეკრულება და CMR მოდული

- ✓ ხელშეკრულების **დარეგისტრირება** CMR მოდულში;
- ✓ **შესაბამისობა** ანგარიშში და ხელშეკრულებაში მითითებულ საფუძვლებს შორის;
- ✓ **ფაქტობრივი** გადახდები, ასახვის ვადები;
- ✓ ხელშეკრულების **შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტები,** ვადები;
- ✓ **ერთი და იგივე ხელშეკრულების დარეგისტრირება** CMR მოდულში სხვადასხვა CMR ნომრით.

ხელშეკრულების სტატუსები

- ✓ **მიმდინარე** ხელშეკრულება;
- ✓ **შესრულებული** ხელშეკრულება;
- ✓ **შეუსრულებელი** ხელშეკრულება;
- ✓ ხელშეკრულებისათვის **არასწორი სტატუსის** მინიჭება.

შესყიდვებში ხელოვნური დაყოფა და მონეტარული ზღვარი, დაჯამება

შესყიდვის ღირებულების დაჯამება შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სავარაუდო ღირებულებასთან

- ✓ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 52-ე მუხლის მე-6 ნაწილისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის (გარდა ამავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა) საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას, მისი ღირებულება **არ ჯამდება** ამ შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სავარაუდო ღირებულებასთან.

- ✓ სახელმწიფო შესყიდვის კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აგრეთვე ამ მუხლის პირველი პუნქტით გაუთვალისწინებელი სხვა საფუძვლით ან/და საშუალებით განხორციელებისას, მისი ღირებულება **ჯამდება** შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სავარაუდო ღირებულებასთან.

დაჯამება და დაფინანსების წყაროები

სხვადასხვა დაფინანსების წყაროებიდან განხორციელებული შესყიდვები **არ ჯამდება.**

მაგალითი №1

CPV	ხელშეკრულების ღირებულება	შესყიდვის საშუალება	შესყიდვის საფუძველი	დაფინანსების წყარო	ხელშეკ. დადების თარიღი	ხელშეკ. ნომერი
30100000	55000	ელექტრონული ტენდერი	მონეტარული ზღვრის დაცვით	სახელმწიფო ბიუჯეტი	20.01.2014	№X
30100000	4500	გამარტივებული შესყიდვა	კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	20.02.2014	№2X
30100000	1500	გამარტივებული შესყიდვა	მონეტარული ზღვრის დაცვით	სახელმწიფო ბიუჯეტი	20.03.2014	№3X

მაგალითი № 2

CPV	ხელშეკრულების ღირებულება	შესყიდვის საშუალება	შესყიდვის საფუძველი	დაფინანსების წყარო	ხელშეკ. დადების თარიღი	ხელშეკ. ნომერი
30100000	55000	ელექტრონული ტენდერი	მონეტარული ზღვრის დაცვით	სახელმწიფო ბიუჯეტი	20.01.2014	№X
30100000	4500	გამარტივებული შესყიდვა	კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	20.02.2014	№2X
30100000	1500	გამარტივებული შესყიდვა	მონეტარული ზღვრის დაცვით	საკუთარი სახსრები	20.03.2014	№3X

მაგალითი № 3

CPV	ხელშეკრულების ღირებულება	შესყიდვის საშუალება	შესყიდვის საფუძველი	დაფინანსების წყარო	ხელშეკ. დადების თარიღი	ხელშეკ. ნომერი
30100000	55000	ელექტრონული ტენდერი	მონეტარული ზღვრის დაცვით	სახელმწიფო ბიუჯეტი	20.01.2014	№X
30100000	4500	გამარტივებული შესყიდვა	კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	20.02.2014	№2X
30100000	1500	ელექტრონული ტენდერი	მონეტარული ზღვრის დაცვით	სახელმწიფო ბიუჯეტი	20.03.2014	№3X

მაგალითი № 4

CPV	ხელშეკრულების ღირებულება	შესყიდვის საშუალება	შესყიდვის საფუძველი	დაფინანსების წყარო	ხელშეკ. დადების თარიღი	ხელშეკ. ნომერი
30100000	4500	გამარტივებული შესყიდვა	მონეტარული ზღვრის დაცვით	სახელმწიფო ბიუჯეტი	20.01.2014	№X
30100000	3500	გამარტივებული შესყიდვა	კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	20.02.2014	№2X
30100000	1500	ელექტრონული ტენდერი	მონეტარული ზღვრის დაცვით	სახელმწიფო ბიუჯეტი	20.03.2014	№3X

მაგალითი № 5

CPV	ხელშეკრულების ღირებულება	შესყიდვის საშუალება	შესყიდვის საფუძველი	დაფინანსების წყარო	ხელშეკ. დადების თარიღი	ხელშეკ. ნომერი
30100000	4500	გამარტივებული შესყიდვა	მონეტარული ზღვრის დაცვით	სახელმწიფო ბიუჯეტი	20.01.2014	№X
30100000	3500	გამარტივებული შესყიდვა	კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	20.02.2014	№2X
30100000	4500	გამარტივებული შესყიდვა	მონეტარული ზღვრის დაცვით	სახელმწიფო ბიუჯეტი	20.03.2014	№3X

მაგალითი № 6

CPV	ხელშეკრულების ღირებულება	შესყიდვის საშუალება	შესყიდვის საფუძველი	დაფინანსების წყარო	ხელშეკ. დადების თარიღი	ხელშეკ. ნომერი
30100000	4500	გამარტივებული შესყიდვა	მონეტარული ზღვრის დაცვით	სახელმწიფო ბიუჯეტი	20.01.2014	№X
30100000	3500	გამარტივებული შესყიდვა	კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	20.02.2014	№2X
30100000	400	გამარტივებული შესყიდვა	მონეტარული ზღვრის დაცვით	სახელმწიფო ბიუჯეტი	20.03.2014	№3X

მაგალითი № 7

CPV	ხელშეკრულების ღირებულება	შესყიდვის საშუალება	შესყიდვის საფუძველი	დაფინანსების წყარო	ხელშეკ. დადების თარიღი	ხელშეკ. ნომერი
30100000	1500	გამარტივებული შესყიდვა	მონეტარული ზღვრის დაცვით	სახელმწიფო ბიუჯეტი	20.01.2014	№X
30100000	3500	გამარტივებული შესყიდვა	კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	20.02.2014	№2X
30100000	3500	ელექტრონული ტენდერი	მონეტარული ზღვრის დაცვით	სახელმწიფო ბიუჯეტი	20.03.2014	№3X

მაგალითი № 8

CPV	ხელშეკრულების ღირებულება	შესყიდვის საშუალება	შესყიდვის საფუძველი	დაფინანსების წყარო	ხელშეკ. დადების თარიღი	ხელშეკ. ნომერი
30100000	1500	გამარტივებული შესყიდვა	მონეტარული ზღვრის დაცვით	სახელმწიფო ბიუჯეტი	20.01.2014	№X
30100000	3500	გამარტივებული შესყიდვა	კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	20.02.2014	№2X
30100000	4000	გამარტივებული შესყიდვა	მონეტარული ზღვრის დაცვით	საკუთარი სახსრები	20.03.2014	№3X

მაგალითი № 9

CPV	ხელშეკრულების ღირებულება	შესყიდვის საშუალება	შესყიდვის საფუძველი	დაფინანსების წყარო	ხელშეკ. დადების თარიღი	ხელშეკ. ნომერი
30100000	1500	გამარტივებული შესყიდვა	მონეტარული ზღვრის დაცვით	სახელმწიფო ბიუჯეტი	20.01.2014	№X
30100000	3500	გამარტივებული შესყიდვა	კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	20.02.2014	№2X
30100000	2000	გამარტივებული შესყიდვა	მონეტარული ზღვრის დაცვით	სახელმწიფო ბიუჯეტი	20.03.2014	№3X

მაგალითი № 10

CPV	ხელშეკრულების ღირებულება	შესყიდვის საშუალება	შესყიდვის საფუძველი	დაფინანსების წყარო	ხელშეკ. დადების თარიღი	ხელშეკ. ნომერი
30100000	1500	გამარტივებული შესყიდვა	მონეტარული ზღვრის დაცვით	სახელმწიფო ბიუჯეტი	20.01.2014	№X
30100000	3500	გამარტივებული შესყიდვა	კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	20.02.2014	№2X
30100000	4000	ელექტრონული ტენდერი	მონეტარული ზღვრის დაცვით	სახელმწიფო ბიუჯეტი	20.03.2014	№3X

მაგალითი № 11

CPV	ხელშეკრულების ღირებულება	შესყიდვის საშუალება	შესყიდვის საფუძველი	დაფინანსების წყარო	ხელშეკ. დადების თარიღი	ხელშეკ. ნომერი
30100000	1500	გამარტივებული შესყიდვა	მონეტარული ზღვრის დაცვით	სახელმწიფო ბიუჯეტი	20.01.2014	№X
30100000	6500	გამარტივებული შესყიდვა	მონეტარული ზღვრის დაცვით	სახელმწიფო ბიუჯეტი	20.02.2014	№2X

მაგალითი № 12

CPV	ხელშეკრულების ღირებულება	შესყიდვის საშუალება	შესყიდვის საფუძველი	დაფინანსების წყარო	ხელშეკ. დადების თარიღი	ხელშეკ. ნომერი
09100000	170000	კონსოლიდირებული ტენდერი		სახელმწიფო ბიუჯეტი	20.01.2014	№X
09100000	2800	გამარტივებული შესყიდვა	მონეტარული ზღვრის დაცვით	სახელმწიფო ბიუჯეტი	20.02.2014	№2X

მადლობა ყურადღებისა და

თანამშრომლობისთვის!